მოგონება

რა სწრაფად გადის დრო...
უკვე ერთ წელზე მეტი გავიდა,
რაც ჩვენი ქვეყნის სამედიცინო საზოგადოებამ
უდიდესი დანაკლისი განიცადა –
მის რიგებს გამოაკლდა საამაყო მამულიშვილი,
ექიმი და საზოგადო მოღვაწე, ბატონი
ავთანდილ ჯორბენაძე.

ავთანდილ ჯორბენაძე

ბატონი ავთანდილი დაიბადა 1950 წლის 31 ოქტომბერს ქალაქ ლანჩხუთში. 1974 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი, რის შემდეგ პრაქტიკოს ექიმად მუშაობდა თბილისის 29-ე პოლიკლინიკაში, სამხედრო ნაწილში და თბილისის პირველი კლინიკურ საავადმყოფოში. 1982-1986 წლებში იყო თბილისის პირველი კლინიკური საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში, 1986-1991 წლებში – თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე, ხოლო 1991-1992 წლებში – ამავე სამმართველოს უფროსი. 1992-1993 წლებში ის იყო საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე და ამავე პერიოდში, აფხაზეთის კონფლიქტის დროს ხელმძღვანელობდა ფრონტის სამხედრო-სამედიცინო სამსახურს. 1993 წლიდან 2001 წლებში მუშაობდა ჯერ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, ხოლო შემდეგ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანამდებობაზე. 2001-2003 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მინისტრი. 2011 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა აკად. გ.ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ.

ბატონმა ავთანდილმა მთელი თავისი ცხოვრება ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვაში გაატარა, თავდაუზოგავად იბრძოდა სხვების დასახმარებლად. უსაზღვროდ უყვარდა თავისი საქმე. უდიდეს პატივს სცემდა უფროს კოლეგებს და განუზომელ დახმარებას უწევდა ახალგაზრდებს. გაჭირვებაში გვერდით დგომაც განსაკუთრებული იცოდა, სხვა რომ ვერავინ ახერხებდა, ისეთი. ლხინსა და სიხარულში კი ლაღი და მოსიყვარულე იყო, საუბარს საოცრად დახვეწილი, მხოლოდ მისთვის ჩვეული თბილი იუმორით აფერადებდა.

ბატონი ავთანდილი უდიდესი ორგანიზაციული ნიჭით იყო დაჯილდოვებული, რომელიც განსაკუთრებით გამოადგა აფხაზეთის კონფლიქტის დროს. ვინ მოთვლის რამდენი დაჭრილი მეომრის გადარჩენა გახდა შესაძლებელი მის მიერ ორგანიზებული და კოორდინირებული სამხედრო-სამედიცინო სამსახურის მიერ. ბუნებით ნოვატორი, სირთულეების გადალახვის პროცესში, ის მუდამ ახალი მიდგომების ძიებაში იყო. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო ბატონი ავთანდილის მიერ 1992 წლის მარტში სოხუმის პირველ საავადმყოფოში ჩატარებული სამხედრო-საველე ქირურგიის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია. მასში მონაწილეობას იღებდნენ ქართველი და აფხაზი ქირურგები და სხვა პროფილის ექიმები. კონფერენციაზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ანტიბიოტიკების მუდმივი დეფიციტის ფონზე, ჭრილობების ინფიცირებისგან დაცვის პრობლემას, რომლის მოგვარებაშიც სერიოზული წვლილი შეიტანა ცნობილი მიკრობიოლოგის, აკადემიკოს თამაზ კერესელიძის და საქართველოს მთავარი ქირურგის, პროფესორ გურამ გვასალიას მიერ სანგრებში გავრცელებული მიკროფლორის შეისწავლის საფუძველზე დამზადებულმა ფაგებმა.

ბატონი ავთანდილის მიერ იქნა პრაქტიკაში დანერგილი „სამედიცინო დიპლომატია“, რომელსაც ხშირად იყენებდა პოსტკონფლიქტურ პერიოდში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთა სამედიცინო მომსახურებით უზრუნველსაყოფად.

განუზომელია ბატონი ავთანდილის დამსახურება გაპარტახების პირას მისული საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის გადარჩენისა და აღორძინების საქმეში. ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში გატარებული ცვლილებებისა და რეფორმების წყალობით, გაბედული, ხშირად მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯების გადადგმით საყოველთაო აღიარება ძალიან სწრაფად მოიპოვა. მის სახელს უკავშირდება ჯანმრთელობის დაცვის სისტემის საკანონმდებლო ბაზის ფორმირება, დაფინანსების პროგრამული და მიზნობრივ-პროგრამული მეთოდების დანერგვა, სადაზღვევო მედიცინის პრინციპებზე გადასვლა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ჩამოყალიბება და პირველადი ჯანდაცვის სისტემის საოჯახო მედიცინის პრინციპებზე გადაყვანა, უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემის რეფორმირება, რეზიდენტურისა და სერტიფიცირების შემოღება, სამედიცინო მეცნიერების გრანტული დაფინანსება, წამალპოლიტიკის რეფორმა, კერძო სექტორის ჩამოყალიბება, სამედიცინო საინფორმაციო სამსახურის რეფორმა.

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად, ბატონი ავთანდილის ძალისხმევით შესაძლებელი გახდა საქართველოში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური მეთოდების დანერგვა. მისი განსაკუთრებული ყურადღების ობიექტი იყო კარდიოქირურგია. 1996 წლის 16 სექტემბერს თბილისის ბავშვთა მე-2 საავადმყოფოს ბაზაზე გაიხსნა ბავშვთა კარდიოქირურგიის ცენტრი, რომლის ფართის გამოყოფა და რემონტი საქართველოს მხარემ, ხოლო აღჭურვა და პერსონალის მომზადება აშშ-ის არასამთავრობო ორგანიზაციამ Global Healing-მა განახორციელა და მას მოგვიანებით ამ ორგანიზაციის პრეზინტის, ქალბატონ ჯო ენ მაკგოვენის სახელი მიენიჭა.

1997 წლიდან საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორ დაწესებულებაში – გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრში (დირექტორი – აკადემიკოსი გულნარა ჩაფიძე) და აკადემიკოს კონსტანტინე ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში (დირექტორი – პროფესორი ბაადურ მოსიძე), ასევე უცხოელი პარტნიორების, კერძოდ, გერმანიიდან – ბად კროცინგენის გულის ცენტრის (დირექტორი – პროფესორი ჰ.როსკამი), შვეიცარიიდან – ჟენევის „ჰოსპიტალ დე ლა ტურის“ (კარდიოქირურგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ვ.ველეზიტი) და პოლონეთის სილეზიის აკადემიის კარდიოქირურგიის კლინიკის (დირექტორი – პროფესორი ზ.რელიგა) დახმარებით გაიხსნა კარდიოქირურგიული განყოფილებები.

გასაგებია, რომ კარდიოქირურგის ცენტრების ფუნქციონირებას მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები ესაჭიროებადა, რომელთა გამონახვა, იმ პერიოდში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე, არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ბატონმა ავთანდილმა შეძლო ქვეყნის მთავრობისა და პარლამენტის დარწმუნება, რომ 1997 წლის ბიუჯეტში შეტანილი ყოფილიყო „ბავშვთა კარდიოქირურგიული დახმარების სახელმწიფო პროგრამა“, ხოლო 1998 წლის ბიუჯეტში მას „გულის იშემიური დაავადებების ქირურგიული მკურნალობისა და ორგანოთა ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამა“ დაემატა.

როგორც ამ უკანასკნელი პროგრამის სახელწოდება გვიჩვენებს, ბატონი ავთანდილის ყურადღების მიღმა არც ორგანოთა ტრანსპლანტაცია დარჩენილა და 1998 წელს უკვე შესაძლებელი გახდა თირკმლის გადანერგვის ოპერაციების დაწყება.

ბატონ ავთანდილის აღიარება და წარმატება თავდაუზოგავი შრომისა და განუზომელი შინაგანი ენერგიის ხარჯვის შედეგი იყო. მას არასოდეს ღალატობდა ღრმა მეცნიერულ კვლევებზე და ექსპერტთა მოსაზრებებზე დამყარებული ალღო და პროგნოზირების გასაოცარი უნარი. ამავე დროს ის იყო მეტად კომუნიკაბელური პიროვნება, რომელსაც შეეძლო მეგობრული ურთიერთობების დამყარება განვითარებული ქვეყნების მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან და საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან, რომელთა ფინანსური და ტექნიკური დახმარება მეტად მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებისა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

ბატონი ავთანდილი მაქსიმალურად უწყობდა ხელს სამედინო მეცნიერებისა და ტექნოლოგიების საქართველოში დანერგვას. სწორედ მისი მინისტრობის პერიოდში განვითარდა ისეთი მიმართულებები, როგორიცაა ენდოსკოპიური ქირურგია, ინტერვენციული მედიცინა, ენდოვასკულური ქირურგია, ხელოვნური სახსრების ინპლანტაცია, ლითოტრიფსია და მრავალი სხვა. ის თვლიდა, რომ საქართველოს მოქალაქეები იმსახურებენ მაღალი ხარისხის, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების მიღების უფლებას და ამის მისაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებდა მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში.

IN MEMORIAM

AVTANDIL JORBENADZE

Time passes quickly. Over a year has passed since the Georgian medical community lost Mr. Avtandil Jorbenadze, a respected physician and public figure.

Avtandil Jorbenadze was born on 31 October 1950 in Lanchkhuti. In 1974, he graduated from the Faculty of General Medicine of the Tbilisi State Medical Institute, after which he worked as a practicing physician at Tbilisi Polyclinic No. 29, in a military unit, and at the First Clinical Hospital of Tbilisi. From 1982 to 1986, he served as Deputy Chief Physician for Clinical Affairs at the First Clinical Hospital of Tbilisi. Between 1986 and 1991, he was First Deputy Head of the Health Protection Department of the Executive Committee of the Tbilisi City Council of People's Deputies, and from 1991 to 1992, he headed that same department. In 1992–1993, he served as Deputy Minister of Health of the Republic of Georgia and, during that same period — the time of the Abkhazian conflict — led the military medical service of the front. From 1993 to 2001, he served first as Minister of Health and subsequently as Minister of Labor, Health, and Social Affairs of Georgia. In 2001–2003, he served as Georgia's State Minister. From 2011 until his death, he served as Chairman of the Supervisory Board of the Acad. G. Chapidze Emergency Cardiology Center.

Mr. Avtandil dedicated his life to helping others. He is fully committed to his work. He deeply respected his senior colleagues and supported younger ones. In hard times, he stood by others. In good times, he shared warmth and humor.

Mr. Avtandil had strong organizational skills, which were vital during the Abkhazian conflict. He organized the military medical service that saved many wounded soldiers. Always seeking solutions, he organized a major 1992 conference on military field surgery in Sukhumi. There, Georgian and Abkhazian surgeons discussed wound infections and antibiotic shortages. Bacteriophage preparations, developed by Academician Tamaz Kereselidze and Professor Guram Gvasalia, addressed this challenge.

Mr. Avtandil introduced „medical diplomacy" to deliver medical care to all ethnic groups in Abkhazia and South Ossetia after the conflict.

Mr. Avtandil helped save and rebuild Georgia's healthcare system. Through his reforms and necessary but difficult decisions, he earned wide recognition. He shaped healthcare legislation, introduced new financing methods, established public health services, and reformed medical education, science funding, pharmaceutical policy, and medical information services.

Despite the country's severe economic problems, Mr. Avtandil helped introduce high-tech medical methods in Georgia. He focused on cardiac surgery. On 16 September 1996, Georgia opened a Pediatric Cardiac Surgery Center at the Second Children's Hospital, with local support and equipment and training from Global Healing. The center was named after Jo Ann McGowan.

From 1997, cardiac surgery departments were established at two institutions of the Georgian Ministry of Health: the Emergency Cardiology Center (Director: Academician Gulnara Chapidze) and the Acad. Konstantin Eristavi Institute of Experimental and Clinical Surgery (Director: Professor Baadur Mosidze). Both benefited from international partners' assistance. These included the „Herz-Zentrum Bad Krozingen" in Germany (Director: Prof. Dr. Helmut Roskamm), the Hôpital de la Tour in Geneva, Switzerland (Head of the Department of Cardiac Surgery: Prof. Vladimir Velebit, MD), and the Cardiac Surgery Clinic of the Silesian Academy of Medicine in Poland (Director: Prof. Zbigniew Religa).

Operating cardiac surgery centers required major funding, which was difficult to obtain. Mr. Avtandil convinced the government and parliament to fund the State Program for Pediatric Cardiac Surgery in 1997. In 1998, funding expanded to cover surgical treatment of ischaemic heart disease and organ transplantation. By 1998, Georgia began kidney transplantation.

Mr. Avtandil's tireless work and strong energy led to his success. He used analytical skills and provided guidance to inform decisions. He built effective relationships with politicians and international leaders, which brought important assistance to Georgia's healthcare system.

Mr. Avtandil strongly supported the spread of medical science and technology in Georgia. As Minister, he developed fields like endoscopic surgery, interventional medicine, endovascular surgery, joint replacement, and lithotripsy. He believed Georgians deserved high-quality care and worked hard to provide it.

The memory of Avtandil Jorbenadze—physician, statesman, and public servant—remains with everyone who knew and worked with him.

Gr. Mukhadze Georgian Association of Surgeons